პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 თებერვალი, კვირა, 1985 წ.
№ 37 (7848) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„შეუნელებელ ყურადღებას ვუთმობთ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცებას. პარტიას ეს ამოცანა ფართოდ ესმის. აქ არის შრომის პირობების გაჯანსაღებაც და გარემოს დაცვაც, ნამდვილად მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის გაშლაც, და, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სრულყოფა.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ პარტია, ჩვენი სახელმწიფო ზრდიან მოთხოვნილობას ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობისადმი, თანამიმდევრულად ებრძვის ამ სფეროში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. ამასთან ერთად, ჩვენ კარგად ვხედავთ იმის საჭიროებასაც, რომ გაუმჯობესდეს მედიცინის მუშაკთა შრომისა და ცხოვრების პირობები. კერძოდ, განიხილება საკითხი, რომ გაისად დაიწყოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის ხელფასის მომატების ღონისძიებათა განხორციელება. ეს, რა თქმა უნდა, იქნება დიდი ნაბიჯი პარტიის სოციალურ პოლიტიკაში, საქმე ხომ ხუთ მილიონზე მეტი კაცის კეთილდღეობას ეხება.

ერთი სიტყვით, ადამიანებისათვის ბევრი კარგი რამ კეთდება. მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, გაცილებით მეტია გასაკეთებელი. რა უშლის ამას ხელს?

პასუხი, მე მგონი, ნათელია. ცხოვრების დონე და ხარისხი ჩვენს საზოგადოებაში წლითი წლობით ზუსტად იმდენად მაღლდება, რამდენად უკეთ ვმუშაობთ. არც ნაკლებად და არც მეტად. მაშასადამე, უფრო სწრაფად რომ გავაუმჯობესოთ ხალხის კეთილდღეობა, საჭიროა უფრო სწრაფად და საფუძვლიანად ვაუმჯობესებდეთ ჩვენს მუშაობას ყველა უბანზე.

სწორედ ამისათვის იღვწიან პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი. ისინი დაუცხრომლად წარმართავენ საქმეს ისე, რომ უკვე 80-იანი წლების დამლევამდე უზრუნველყონ ნამდვილი გარდატეხა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, საბჭოთა ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაში".

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვიდან მოსკოვის № 28 კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე.

დღეს საბჭოების არჩევნებია— ყველანი არჩევნებზე!

25 თებერვალი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეა

ორი დღესასწაული, ორი თვალსაჩინო მოვლენა

დღევანდელი დღე განსაკუთრებულია როგორც საბჭოეთის, ისე ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში; განსაკუთრებული და სადღესასწაულო, რადგან დღეს რესპუბლიკის უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა.

სადღესასწაულოდ არის მორთული საქართველო. დღეს ჩვენი ხალხი ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებში ირჩევს რჩეულთა შორის რჩეულთ, მათ, ვინც თავისი შრომა-გარჯითა და მოღვაწეობით, სანაქებო მამულიშვილობით ხალხის პატივისცემა და აღიარება დაიმსახურა; მათ, ვინც ხნავს და თესავს, დგას დაზგასთან, მართავს მანქანის საჭეს, იკვლევს თანამედროვე მეცნიერების ახალ პრობლემებს, სიცოცხლეს უბრუნებს დედაქალაქის ძველ უბნებს, ნასოფლარებს, მიუვალ მთებში გაჰყავს გზები, ასწავლის სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, თავისი კალმითა და ჩანგით ემსახურება სამშობლოს და სპორტული მიღწევებით განადიდებს მის სახელს.

აი, ამიტომ არის არჩევნების დღე თითოეული ჩვენგანისათვის დიდად საგულისხმო, ღირსშესანიშნავი და საზეიმო.

ვინ არიან ჩვენი რჩეულნი, დეპუტატობის კანდიდატები? ისევ ჩვენი, მშრომელთა წიაღიდან გამოსული ადამიანები, გამსჭვალულნი ერთი სურვილითა და მიზნით: მთელი ნიჭი და უნარი, ძალა და მონდომება მოახმარონ ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობას, იყვნენ მათი სანუკვარი მისწრაფებებისა და ინტერესების გამომხატველნი. ამიტომ არის უსაზღვრო ნდობა, რომელსაც ამომრჩევლები უცხადებენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, თავიანთ ღირსეულ კანდიდატებს.

წინა არჩევნებიდან წლევანდელ არჩევნებამდე კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველი, კიდევ უფრო ძლიერი და ბარაქიანი გახდა ჩვენი სამშობლო. საბჭოთა საქართველო თვალსაჩინო მიღწევებით სამოცდამეოთხედ ეგებება თავის დაბადების დღეს, რომელსაც ხვალ ზეიმით აღვნიშნავთ. „რევოლუციურ, ჯერარნახულ, ჯერარგაგონილ" საქართველოს მართლაც ბევრი აქვს საამაყო თავის დღეობაზე. ახლახან რესპუბლიკამ ზედიზედ მეთორმეტედ მოიპოვა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა. ესაა ჩვენი მამულიშვილური გარჯის ღირსეული აღიარება და დაფასება. საცაა მიიწურება წლევანდელი წლის მეორე თვე. მისი პირველი შედეგები უთუოდ სასიხარულო და ახალ წარმატებათა მაცნეა.

ორი დღესასწაული, ორი თვალსაჩინო მოვლენა... მოგვიმრავლდა დღესასწაულები, რომლებიც უფრო მეტს გვავალებენ თითოეულ ჩვენგანს, მეტს — სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ახლოვდება გაზაფხული, დათვლილი დღეებილა დარჩა მის მოსვლამდე. გაზაფხული კი სპორტის საზაფხულო და საშემოდგომო სახეობათა ახალი სეზონის დასაწყისი გახლავთ. ზამთარი ურიგო არ აღმოჩნდა ჩვენი სპორტული მოძრაობისათვის; დარწმუნებული ვართ, სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც გააგრძელებენ იმ კარგ სტარტს, რომლის მოწმენიც წლევანდელი წლის დამდეგს ვიყავით. რაც შეეხება არჩევნებსა და საბჭოთა საქართველოს დაბადების დღეს, რაღა თქმა უნდა, ამ დიდ მოვლენებს ტრადიციულად სპორტული შეჯიბრებები და გამოსვლებიც დაამშვენებს.

მთავარი მატჩების მოლოდინში

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 23 თებერვალი.
„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) 1:0 (0:0).
თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, პაიკიძე (ხვანაძე), არზიანი, მიქაბერიძე, ჰედია, მახარაძე, ჩქარეული, გოგრიჭიანი (ფრიდონიშვილი), მეხხი.
კიევი: მიხაილოვი, ~~ბოროვსკი~~, კუზნეცოვი, ევსეევი, ოლეფირენკო (მიხაილიჩენკო), რაცი, იაკოვენკო (ბარანოვი), ბალი, ხლუსი (ზავაროვი), ევტუშენკო (ბლოხინი), ბელანოვი.
მსაჯი: ანატოლი მილჩენკო (სოხუმი).
გოლი გაიტანა მიხეილ მეხხმა (77-ე წთ.).

როგორც იქნა, თბილისშიც მოვიდა ფეხბურთი და მართალია, ბევრი ვერაფერი ამინდი დაბვდა, გულშემატკივარი მაინც საკმაოდ მოგროვდა „ლოკომოტივის" სტადიონზე — სწორედ აქ იყო დანიშნული 1985 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის რეპეტიცია.

ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა მინდორზე ძირითადი შემადგენლობის გამოყვანა, ეს უწინარეს ყოვლისა მასპინძლებზე ითქმის, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ბოლო საწვრთნელ მატჩში მაინც მთელი ძალით იყო საჭირო თამაში.

პირველი ტაიმი სანახაობრივად მაინცდამაინც კარგი არ გამოდგა — თამაში ტიპიურ საკონტროლო შეხვედრას მოგაგონებდათ — მაგრამ მერე და მერე ყველაფერი გამოსწორდა. თუ პირველ ორმოცდახუთ წუთში მეტოქეებმა მხოლოდ თითო საგოლე სიტუაცია შექმნეს და საკმაოდ ხშირადაც სცოდავდნენ პასში, მატჩის მეორე ნახევარში იმატა კომბინაციებმაც და, ბუნებრივია, სახიფათო მომენტებმაც.

59 წუთზე კარგად ითამაშა თბილისელთა კაპიტანმა ჩივაძემ — საჯარიმოს გათამაშების შემდეგ მოარტყა მცველი და დაარტყა კიდეც კარისაკენ. 74-ე წუთზე კიეველებმა მხოლოდ აკრძალული ილეთით შეძლეს თბილისელთა სწრაფი ფორვარდების მესხისა და ჩქარეულის შეტევის შეჩერება. 77-ე წუთზე სტუმრები მაინც ვერ გადაურჩნენ გოლს — ჩივაძის დაწყებული კომბინაცია შესანიშნავად დაასრულეს ჩქარეულმა და მესხმა. 84-ე წუთზე მასპინძლებს კიდევ ერთი გოლი

შეეძლოთ გაეტანათ — თბილისელთა ერთ-ერთი იერიშის შემდეგ ალალბედზე მოგერიებული ბურთი მახარაძემ მიიღო. შორიახლო კიეველთა არც ერთი მცველი არ იდგა, წაქცეული იყო მეკარეც, მაგრამ დარტყმა უზუსტო გამოდგა.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი, თუნდაც მაღალი რანგის საკონტროლო მატჩი სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებას ძნელად იძლევა, მაგრამ გუშინდელ კონკრეტულ შეხვედრაში, ფიზიკური კონდიციების თვხლსაზრისით, თბილისის „დინამო" ურიგოდ არ გამოიყურებოდა. გუნდის წმინდა საფეხბურთო ძალას კი ალბათ ჩემპიონატის პირველი მატჩები დაგვანახებს.

ჯემალ კახრაძის ფოტო.

გულშემატკივრის კუთხე

„რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს..."

ალაყაფის კარს შევაღებ და ეზოში შეგიძლებით... პირველად გაზაფხულის მოლოდინში კვირტებდაბერილ გარინდულ ხეებს შეამჩნევთ, მერე კი — ეზოს სიღრმეში, ფართო კარებთან დადგმულ ქანდაკებებს და მიხვდებით, რომ აქ ხელოვანი ცხოვრობს... კარი გაიღება და მსუბუქი ნაბიჯებით თქვენკენ წამოვა ახალგაზრდა კაცი. მე თქვენ მიგახედებთ იქით და გეტყვით: „ეს კაცი გია ჯაფარიძეა!" მასპინძელი ღიმილით მოგესალმებათ და მიგიპატიჟებთ თავის სამყაროში...

● ბატონო გია! ჩვენი მკითხველი გიცნობთ არა მარტო როგორც მხატვარსა და მოქანდაკეს, არამედ როგორც სპორტსმენსაც — რეგბისტს... სპორტის სხვა სახეობაშიც ხომ არ ვარჯიშობდით ადრე, ბავშვობაში?..

— დავდიოდი ტანვარჯიშზე, ნიჩბოსნობაზე, მძლეოსნობაზე. ერთხანს კრივმა გამიტაცა. მერე ძალიან სერიოზულად დავინტერესდი რეგბით. ვარჯიში 1965 წელს დავიწყე, ერთი წლის შემდეგ „ლოკომოტივის" ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი... კარგა ხანს გუნდის კაპიტანიც ვიყავი.

● სპორტის რამდენიმე სახეობაში ვარჯიშობდით. რამ განაპირობა, რომ რეგბი განსაკუთრებით შეიყვარეთ და ყველაზე მეტი დროც დაუთმეთ?



— რეგბი ჩემი საყვარელი თამაშია, მაგრამ შეიძლებოდა სხვა რომელიმეს გავყოლოდი ბოლომდე. უბრალო შემთხვევაა... რეგბიში მიყვარს ჭიდილი, ასე რომ ავსებს და იმორჩილებს ადამიანის სულს... რაც მთავარია, რეგბი ძალიან ჰგავს ჩვენს ეროვნულ ლელოს.

● მატჩის მსვლელობის დროს როგორ უყურებთ რეგბის, როგორც გულშემატკივარი, თუ?..

— საკმაოდ დიდხანს ვთამაშობდი რეგბის. ის ჩემთვის იმდენად ახლობელია, რომ არ შემიძლია უბრალო გულშემატკივარი ვიყო. ისევე განვიცდი, როგორც მაშინ, როცა მე თვითონ ვთამაშობდი.

● მამაკაცთა უმრავლესობა ფეხბურთის გულშემატკივარია, სპორტის ყველა სახეობასთან შედარებით მას ანიჭებს უპირატესობას. თქვენ?..

— ფეხბურთი ბავშვობიდანვე ყველა ბიჭის საყვარელი თამაშია, ჩემთვისაც, რა თქმა უნდა, მაგრამ უპირველესი მაინც რეგბია! თუმცა, როგორც გითხარით, გულშემატკივარზე ცოტა მეტი ვარ...

● უკვე ათი წელია რეგბის აღარ თამაშობთ. ალბათ ხშირად გაქვთ თამაშის სურვილი?

— რა თქმა უნდა... ვთამაშობთ კიდეც, ხანდახან ტარდება ვეტერანთა შეხვედრები კიევში, თბილისში.

● სპორტი გარკვეულწილად აისახა თქვენს შემოქმედებაში...

— დიახ. ასპირანტურაში სწავლის დროს გავაკეთე „უროს მტყორცნელი" და „რეგბისტის ფიგურა". მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის საცხენოსნო კომპლექსში დაიდგა ჩემი ქანდაკება „სამი ცხენი".

● მშობელს განა ჰკითხავენ, რომელი შვილი უფრო გიყვარსო, ამბობს ხალხური სიბრძნე, მაგრამ მე მაინც გკითხავთ: თქვენს ნამუშევრებში რომელს გამოარჩევდით?

— როგორ გითხრათ, ხელოვანი ყველაფერს განსაკუთრებული სიყვარულით ქმნის... მიჭირს რომელიმეს გამორჩევა.

● ხალხურ სიბრძნეს თაყვანს ვცემ, მაგრამ მაინც მგონია, რომ შეუძლებელია ერთნაირად გიყვარდეთ ყველაფერი, რაც შეგიქმნიათ. შვილებიც კი, მეტად და ნაკლებად არა, მაგრამ ხომ განსხვავებულად გვიყვარს: უფროსი რაღაცნაირი კრძალვით, უმცროსი — უფრო თამამად...

— „უროს მტყორცნელს" გამოვარჩევდი. გამოვარჩევდი ალბათ იმიტომ, რომ ეს ჩემს ყმაწვილობასთან, ჩემი ცხოვრების ყველაზე რომანტიკულ წლებთან არის დაკავშირებული... სადიპლომო ნაშრომის თემადაც იმიტომ ავირჩიე. უროს ტყორცნა ლამაზი სახეობაა. ვფიქრობ, ამით უფრო კარგად ვთქვი ჩემი სათქმელი.

● თქვენ დიდხანს თამაშობდით „ლოკომოტივის" ძირითად შემადგენლობაში. ცხადია, დიდ დროს უთმობდით ვარჯიშს, შეხვედრებს. ამან შემოქმედებით მუშაობაში ხომ არ შეგიშალათ ხელი?

— არა, მე მგონია, პირიქით, ხელი შემიწყო...

● თქვენი ერთი ქანდაკება ჰოლანდიაშიც დგას...

— დიახ, კუნძულ ტექსელზე დაიდგა ჩემი ნამუშევარი „მშვიდობა ბავშვებს". შვიდი-რვა წლის ბიჭუნას ცისკენ აღმართულ ხელებში მტრედები და სფერო უჭირავს...

ჩემი თანამოსაუბრე წამით შეყოყმანდა, ეტყობა რაღაცის თქმა თუ დამატება დააპირა. თვითონვე მივხვდი... მერე სადღაც გაგონილიც გამახსენდა — ფრინველები კეთილ ადამიანებთან ახლოს იშენებენ ხოლმე ბუდეს. კაცმა არ იცის, როგორ, რა ნიშნით გვასხვავებენ, მაგრამ ასე კია... თვითონვე მივხვდი-მეთქი... ყურმოკვრით ვიცოდი, ჰოლანდიაში ქართველი მოქანდაკის მტრედის ფრთებზე ნამდვილ მტრედს გაეკეთებინა ბუდე. ასეა-მეთქი? — შევეკითხე.

— ასეა, და, ალბათ სიმბოლურიც არის, რომ მტრედი მშვიდობის ქანდაკებაზე დაბინავდა. — უფრო „მშვიდობიანი" ვერსია შემოგვთავაზა გია ჯაფარიძემ.

● იტალიაში დაიდგა თქვენი „სიცოცხლის ხე", რომელიც ნაჩვენებია რეზო თაბუკაშვილის ფილმში „ალპური ვარსკვლავი", ხომ არ გაიხსენებდით ბოლო წლების ნამუშევრებს?

— 1981 წელს წითელ ხიდზე გაიხსნა გოგი ქლენტისა და ჩემს მიერ შექმნილი მეგობრობის მემორიალი, ბიჭვინთაში — „ტალღა", ნოვოროსიისკში — „პოსეიდონი". ამ უკანასკნელ [illegible] ლიძესთან ერთად [illegible] თბილისში ახალი ქორწინების სახლის მხატვრულ გაფორმებაში მივიღე მონაწილეობა, საფრანგეთში მარი ბროსეს საფლავი გავაფორმე. მუშაობას ვაგრძელებ პიონერულ ქალაქ „მზიურის" მხატვრულ გაფორმებაზე...

● რა არის თქვენთვის ყველაზე მთავარი?

— კაცი მიზანს რომ დაისახავს, აუცილებლად უნდა მიაღწიოს. ამისთვის კი პირველი პირობა შრომისმოყვარეობაა... ალბათ სწორედ ესაა მთავარი — მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა.

• • •

ერთი ადამიანის ლამაზი ფიქრი, ნაღველი, სიყვარული თუ ბედნიერება პატარ-პატარა ჩარჩოებში ჩატეულა და კედელზე დაუდგია ბინა... საჭრეთლით სულჩადგმული ლითონის არსებანი ადამიანებივით მოგაჩერდებიან და თქვენ ირწმუნებთ იმათ სიცოცხლეს... უხმაუროდ დაიხურება კარი, ეზოში გამოსულს თავს დაგიკრავენ ვეება ხეები... და გაზაფხულის სურნელს ჩამოიტანს ტოტებიდან თებერვლის წვიმა...

ინტერვიუ აიღო
ნანა მუკბანიანმა.



სურათებზე: გია ჯაფარიძე; „მშვიდობა ბავშვებს"; „უროს მტყორცნელი".

სპორტის უჩინარი მსახურნი

ცხოვრობს ბაკურიანში კაცი

ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა, მაგრამ მაინც მხნეა და ენერგიული. ბაკურიანში მას ყველა იცნობს. საყოფაცხოვრებო კომბინატ „ცხრაწყაროს" დირექტორია.

ახალგაზრდობაში ნიჭიერი მოთხილამურე-მრბოლელი იყო. თოვლის მოსვლისთანავე გამოდიოდა პატარა თხილამურებით ბაკურიანელ ბიჭებთან, 7-8 წლის თანატოლებთან ერთად, იაგორას ველზე. მერე ბიჭები წამოიზარდნენ — მიტო ყოროშვილი, კოლია გავა, მიტო პეტროსიანი, მათი გახუნებელი მეგობარი და „დაუძინებელი" მეტოქე ვენერა ჯეირანაშვილი. ყველანი იმედისმომცემ მრბოლელებად ითვლებოდნენ. სპორტსკოლაში მეცადინეობდნენ რეგულარულად — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფილიალის სათხილამურო ბაზაზე ვარჯიშობდნენ გამოცდილი მწვრთნელების ნიკოლოზ მიქაბერიძის, პავლე კოზანაშვილის, ლალა ფახჯაკიძის ხელმძღვანელობით.

ზამთრის ერთ მშვენიერ დღეს ახალგაზრდა მოთხილამურენი შეკრებაზე მიიწვიეს. საუკეთესოები (6 ვაჟი და 3 ქალი) სვერდლოვსკში უნდა წაეყვანათ სოფლის სპორტსმენთა სპორტსაზოგადოების „უროჟაის" საკავშირო პირველობაზე. 1952 წელი იყო — საბჭოთა სპორტის პირველი გასვლის წელი დიდ ოლიმპიურ სარბიელზე.

— კარგად გამოვედი, თუმცა ჯოხები მქონდა ცოტა მოკლე. 15-კილომეტრიან დისტანციაზე რესპუბლიკის ჩემპიონს მიშა კოზანაშვილს გავუსწარი, ფინიშზე მესამე მივედი ლეკო ქუმარიტაშვილისა და კოლიკო გავას შემდეგ — იხსენებს დ. ყოროშვილი — ახალი ფორმა, „ბატინკები", ჯოხები და თხილამურები მოგვცეს. ძველები, „ზაბორებს" რომ ვეძახდით, იქვე მოვისროლე. მეორე დღეს სვერდლოვსკში უნდა გავმგზავრებულიყავით, მაგრამ... ყველასთვის მოულოდნელად საბჭოთა არმიის რიგებში ამოვყავი თავი. რვაკლასდამთავრებულს უკვე დამოუკიდებელი მინდოდა ვყოფილიყავი, შორეთში გამგზავრებამ, ასე ვთქვათ, რომანტიკამ გამიტაცა.

როსტოვში მსახურობდა. ელექტროტექნიკოსის პროფესია აითვისა, შემდეგ კამენსკის ელექტროძრავების 3-წლიანი ტექნიკუმი დაამთავრა. თავი იჩინა ბავშვობისდროინდელმა გატაცებამ — ელექტრონიკის სიყვარულმა, როდესაც საათობით აკეთებდა პატარა ელექტრომანქანებს, მატარებლებს, თვითმფრინავებს.

ბაკურიანში დაბრუნებისთანავე დურგლად დაიწყო მუშაობა, მერე სადურგლო საამქროს ჩაუდგა სათავეში, ახალი საყოფაცხოვრებო კომბინატის გახსნის შემდეგ კი გამრჯე ახალგაზრდა დირექტორის მოადგილედ დააწინაურეს.

ცხადია, იმთავითვე იზრუნა სპორტსმენებსა და სპორტის მოყვარულებზე — კომბინატში ზამთრის სპორტის ინვენტარის საკმაოდ დიდი გამქირავებელი პუნქტი შექმნა. „მლადოსტი", „პოლსპორტები", „ელანები", „ალპინები" — რა სახის თხილამურებსა და სპორტულ სამოსელს არ შემოგთავაზებენ დღეს აქ. პუნქტის გამგეს, ჩინებულ სპეციალისტს ალბერტ ცხოვრებაშვილს მიაკითხეთ და თვითონვე დარწმუნდებით.

—სტარტზეა ელგუჯა ყოროშვილი, „დინამო", ბაკურიანი! — გაისმის მსაჯ-ინფორმატორის ნაცნობი ხმა მფრინავ მოთხილამურეთა ასპარეზობის დროს.

ელგუჯა პატივცემული დიმიტრის ვაჟიშვილია — საქართველოს ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი. ამას წინათ ბაკურიანში დამთავრებულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე უძლიერესებთან ჭიდილში მეთორმეტე ადგილზე გავიდა, საუკეთესო იყო რესპუბლიკის მოთხილამურეთა შორის.

უხაროდა მამას შვილის წარმატება, თვითონ უმცროსი ყოროშვილი კი რატომღაც უკმაყოფილო იყო, უკეთ უნდა გამოვსულიყავიო.

— ჩემი კერპი კობა წაქაძე იყო. მართალია, მე ვერ გავხდი მხტომელი, მაგრამ სამაგიეროდ ელგუჯა ხომ „მფრინავი მოთხილამურეა" — სიმაყით გვეუბნება უფროსი ყოროშვილი — სხვათა შორის, ჩემი გოგონებიც მისდევდნენ სპორტს — ია და ლია სლალომში ვარჯიშობდნენ ცნობილ მწვრთნელ ზიტა გავასთან, მაგრამ ერთხელ პარკის გორაკიდან დაშვებისას, იას ფეხი დაუზიანდა და... ორივე ჩამოშორდა სპორტს. სიძეც სპორტსმენია — სპორტის ოსტატი, ამ რამდენიმე წლის წინ საკავშირო შეჯიბრებაზე იუნიორებში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ოჯახში კიდევ ერთი „სპორტსმენი" გვეზრდება — ჩემი შვილიშვილი, 2 თვის რუსლანი... ძალიან მინდა ისიც „მფრინავი მოთხილამურე" გამოვიდეს.

ოთარ ნოზაძე.

• • •

სურათზე: მამა-შვილი დიმიტრი (მარჯვნივ) და ელგუჯა ყოროშვილები.

ნუგზარ ქარელის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვდავება



„არც ერთი ნაბიჯი უკან"

„1941 წლის 19 მაისი. კიევი. ჭიდაობაში XII საკავშირო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა საშუალო წონაში. ხალიჩაზე ერთმანეთის პირისპირ დგანან საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი გ. პილნოვი („დინამო", მოსკოვი) და საბჭოთა კავშირის 1937 წლის ჩემპიონი ქვესაშუალო წონაში ო. მიხაილოვსკი („ინტერნაციონალი", ხარკოვი). შეუპოვარ ბრძოლაში ისე გავიდა 19 წუთმა, ვერცერთმა მეტოქემ ვერ შეძლო შედეგიანი ილეთის ჩატარება, მხოლოდ მე-20 წუთზე მოიგდო გ. პილნოვმა ხელთ ო. მიხაილოვსკი, ხიდურზე დააყენა და მოიპოვა გადამწყვეტი ქულა, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა. გრიგოლ პილნოვმა მეშვიდედ მოიხვეჭა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება". — ასე იტყობინებოდა კიევის ერთ-ერთი გაზეთი ომის წინა პერიოდის ბოლო საკავშირო ჩემპიონატის შესახებ კლასიკურ ჭიდაობაში.

მაშინ ეს არნახული წარმატება იყო. ომამდელ წლებში არც ერთ ჩვენს მოჭიდავეს არა ჰქონია გ. პილნოვის მსგავსი მიღწევები, ამ გამარჯვებებს კი საფუძველი თბილისში ჩაეყარა, სადაც ეს სამარელი ბიჭუნა სამოქალაქო ომის ქარცეცხლმა გადმოტყორცნა 20-იან წლებში.

ძნელი, ძალზე ძნელი ბავშვობა ჰქონდა გრიშა პილნოვს — ქუჩებში გაზეთებს ჰყიდდა, მედუქნეებს ეგზავნებოდა ქალაქის სხვადასხვა კუთხეში, დედის მიერ გარეცხილი თეთრეულით სავსე ფუთა დაჰქონდა აღმა-დაღმა. თავს ძლივს ირჩენდა, შიმშილობდა კიდეც და ასეთ ორომტრიალში მაინც პოულობდა დროს ბალღური გართობისა და სპორტისთვის: პირველი ფეხბურთელი იყო ქუჩის გუნდში, დღეში რამდენიმეჯერ გადაცურავდა ხოლმე მტკვარს ზემო ბორნიდან მადათოვის კუნძულამდე.

მაგრამ გრიშა პილნოვის მთავარი გატაცება მაინც ჭიდაობა იყო, თბილისში კი იმ დროს ყველა ჭიდაობდა. სადღესასწაულო ან კვირა დღეებში ძველი ქალაქის უბნებში, პარკებში, მტკვრის პირას, ეზოებში, ქუჩებში... სად არ ნახავდით ერთმანეთთან დაჭიდებულთ, ყველა უბანს თავისი ფალავნები ჰყავდა.

იმხანად თბილისის ცირკში სისტემატურად იმართებოდა პროფესიონალ მოჭიდავეთა ტურნირები, ფრანგული ჭიდაობის გამოჩენილ ოსტატთა სახელები ბავშვებს ერთთავად პირზე ეკერათ, მათ ჰბაძავდნენ, ყველას სურდა ამოუცნობი „წითელი ნიღაბი" ან „შავი ნიღაბი" ყოფილიყო, მათ შორის, რა თქმა უნდა, გრიშა პილნოვსაც. მალე მან სერიოზული ვარჯიში დაიწყო — ჭიდაობასა და სიმძიმეების აწევაში, 1923 წელს თბილისის ჩემპიონობა მოიპოვა საშუალო წონაში, ამიერკავკასიის რეკორდი დაამყარა სიმძიმეების აწევაში.

სწორედ იმ ხანებში ჩამოვიდა თბილისში მოჭიდავეთა ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ცნობილი ათლეტი გიორგი რიბსონი. გადამწყვეტი შეხვედრა მას გრიშა პილნოვთან ჰქონდა.

ეს იყო დაუვიწყარი შერკინება. გამოცდილმა ჩემპიონმა გ. რიბსონმა მხოლოდ შეხვედრის ბოლო წუთებში შეძლო ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეტოქის წაქცევა, მაგრამ თვითონ ძლივს მიაღწია გასახდელამდე და იქ რამდენიმე საათს ვერ მოეგო გონს. შემდეგ გ. პილნოვს მოუხმო და უთხრა: „მეგობარო, თქვენ ჭიდაობისთვის ხართ გაჩენილი, მიჰყევით ამ საქმეს, დიდი მომავალი გელით".

გ. პილნოვი მაშინ ოციოდე წლისა თუ იქნებოდა. ახალგაზრდა კაცმა მთელი თავისი ენერგია, ძალა და მონდომება ჭიდაობას მოანდომა, სულ ერთი წლის მეცადინეობის შემდეგ იგი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ჩარიცხეს მოსკოვის 1928 წლის საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილეობის მისაღებად.

და, აი, სპარტაკიადის საჭიდაო ხალიჩაზე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს რიბსონი და პილნოვი. მათი ბრძოლა კვლავ არნახული სიმძაფრით წარიმართა, გ. რიბსონმა კვლავ გაიმარჯვა, მაგრამ ეს იყო ეგრეთ წოდებული „ნახევარგამარჯვება". გ. პილნოვმა კი უკვე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და ფართო სპორტული წრეებისთვის ნათელი გახდა მისი დიდი შესაძლებლობანი. სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კატულინი შემდგომში წერდა: „1928 წლის სპარტაკიადაზე გავიცანი თბილისელი მოჭიდავე გრიგოლ პილნოვი. მაშინ იგი ახალგაზრდა იყო, გამოუცდელი, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა ხალასი ნიჭი. წინადადება მივეცი მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტში გადმოსულიყო სასწავლებლად და როგორც მოჭიდავეს კვალიფიკაციაც იქ გაევლო".

ასე გადაწყდა ახალგაზრდა თბილისელი მოჭიდავის ბედი, იგი ფიზკულტურის ცენტრალურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად და 1933 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ქვემძიმე წონაში. ამას მოჰყვა 1935, 1937, 1938, 1939, 1940 და 1941 წლებში მოპოვებული შესანიშნავი წარმატებები. მხოლოდ 1934 წელს აღმოჩნდა იგი მესამე ადგილზე, 1936 წელს კი — მეორეზე.

1941 წლის საკავშირო ჩემპიონატი, რომლითაც ჩვენი საუბარი დავიწყეთ, უკანასკნელი იყო გრიგოლ პილნოვისთვის. დაიწყო ომი და ჩვენი შესანიშნავი მოჭიდავე, საბჭოთა კავშირის შვიდგზის ჩემპიონი მოხალისედ წავიდა მტერთან საბრძოლველად. გაზეთმა „კრასნი სპორტმა" იმ ხანებში გამოაქვეყნა გ. პილნოვის წერილი, რომელიც ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: „ჩვენი ლოზუნგია არცერთი ნაბიჯი უკან! გერმანელ ფაშისტებს უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარი საშუალებით!"

გრიგოლ პილნოვი იბრძოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგანგებო დანიშნულების ჯარების ცალკე მოტომსროლელი დივიზიის რიგებში, მისი ბრიგადა — შედგენილი გამოჩენილ საბჭოთა სპორტსმენთაგან, მოქმედებდა მტრის ღრმა ზურგში და განსაკუთრებული მნიშვნელობის დავალებებს ასრულებდა ბელორუსიაში, სმოლენსკისა და კალუგის ოლქებში.

1942 წლის 21 იანვარს, ერთ-ერთი უმძიმესი ბრძოლის დროს, კალუგის მახლობლად სოფელ სტარაია ბრინში, ქვედანაყოფი, რომელსაც გრიგოლ პილნოვი მეთაურობდა, მთელი შემადგენლობით დაიღუპა მტრის ჭარბ ძალებთან შეტაკებისას. დაიღუპა, მაგრამ რაზმის არცერთი მებრძოლს, არც მათ მეთაურს — თბილისელ გრიშა პილნოვს, ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული ვაჟკაცური დევიზი:

„არც ერთი ნაბიჯი უკან!"

ბორის ბორზუნოვი.

ქ. რიაზანი.

(სპეციალურად „ლელოსთვის")

---

1 მარტს იწყება საბჭოთა კავშირის 1985 წლის, რიგით 48-ე ჩემპიონატი ფეხბურთში. ამ ხანგრძლივი, მეტად დიდმნიშვნელოვანი შეჯიბრების დაწყებამდე ბევრი აღარაფერი დარჩა — თითებზე ჩამოსათვლელი დღეები, მაგრამ ახლავე კარზეა მომდგარი I ლიგის საკავშირო გათამაშებაც, სადაც წლეულს საქართველოს ორი გუნდი გამოდის: ლანჩხუთის „გურია" და ბათუმის „დინამო". ასე რომ, როცა 1985 წლის მეტად საინტერესო და, ამასთან, რთული სეზონის პრობლემებზე ვმსჯელობთ, როცა საქართველოს უმაღლესი კატეგორიის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მზადებასა და პერსპექტივებზე ვლაპარაკობთ, წუთით არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ რესპუბლიკის ეს ოთხი საუკეთესო კოლექტივი — თბილისის „დინამო", ქუთაისის „ტორპედო", ლანჩხუთის „გურია" და ბათუმის „დინამო" შეადგენენ ავანგარდს, რომელიც ქართული ფეხბურთის დღევანდელ მიღწევებსაც განასახიერებს და მის მომავალსაც განსაზღვრავს.

საპასუხისმგებლო სეზონი

რესპუბლიკის I ლიგის გუნდების მზადებაზე, მათს პრობლემებზე „ლელოს" მკითხველებს, ჩვენს ფეხბურთის მოყვარულებს დღეს ესაუბრება საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უმაღლესი და I ლიგების ოსტატთა გუნდების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გიორგი ანთაძე.**

მაგრამ, სანამ სიტყვას გ. ანთაძე აიღებდეს, გვინდა გულშემატკივრებს შევახსენოთ, რომ I ლიგის წლევანდელ გათამაშებაში მნიშვნელოვანი რეფორმაა გათვალისწინებული, რაც, უდავოდ, თავის დაღს დაამჩნევს მომავალ ასპარეზობას, გაართულებს მას.

I ლიგის მონაწილე 22 კოლექტივი წლეულს დაყვეს დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებად — თითოეულში თერთმეტი გუნდია. საქართველოს ორივე კოლექტივი დასავლეთ ზონაში გამოდის. პირველ ეტაპზე, რომელიც 8 აპრილიდან 12 ივლისამდე გასტანს, ყოველ ზონაში გამოვლინდება 6-6 საუკეთესო გუნდი, რომლებიც ბრძოლას გააგრძელებენ პირველი 12 ადგილისთვის („ა" ჯგუფი), მე-7 და მომდევნო ადგილებზე დარჩენილთ კი („ბ" ჯგუფი) თამაში, ფაქტიურად, მოუწევთ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად: მე-20, 21-ე და 22-ე ადგილებზე გასულნი, აგრეთვე, II ლიგის 9 ზონაში გამარჯვებულნი (სულ — 12 გუნდი), 3 ფინალურ ჯგუფს შექმნიან, სადაც პირველი ლიგის 3 საგზურს გაითამაშებენ.

— თვით ამ ახალი ფორმულის არსი, — თქვა გ. ანთაძემ. — მისი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი გუნდი დასაწყისშივე, უკვე პირველ ეტაპზე უნდა ეცადოს, რადაც უნდა დაუჯდეს, პირველ ექვსეულში მოხვდეს. ეს [illegible] გარანტიაა [illegible], წინააღმდეგ შემთხვევაში უკლებლივ ყოველ მათგანს დიდად გაუჭირდება მეორე ეტაპზე ბრძოლა, სადაც დაძაბულობა, კონკურენცია ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად, შეუდარებლად გაიზრდება. ყველაფერი ეს კარგად იციან როგორც ლანჩხუთის „გურიის", ისე ბათუმის „დინამოს" ხელმძღვანელებმა, ამიტომაც ისინი ამთავითვე ყოველ ზომას მიმართავენ, რათა წარმატებით იბრძოლონ ამ ძნელი მიზნის მისაღწევად. ლანჩხუთელებმაც და ბათუმელებმაც პირველ ეტაპზე 5-5 გუნდი უნდა ჩამოიტოვონ, რათა პირველ ექვსეულში დაიმკვიდრონ ადგილი, ეს კი მეტად ძნელი საქმეა. დასავლეთ ზონაში გამოდიან ლვოვის ასკ „კარპატი", კიშინიოვის „ნისტრუ", ზაპოროჟიეს „მეტალურგი", კრასნოდარის „კუბანი", რიგის „დაუგავა" და სხვა ძლიერი გუნდები, მათთან ბრძოლა, რომელ ეტაპზეც უნდა იყოს, ძალების დიდ დაძაბვას მოითხოვს.

ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა უკვე კარგა ხანია ფეხი მოიკიდეს პირველ ლიგაში. ფეხბურთის მოყვარულები მათი შედეგებით უდავოდ კმაყოფილები არიან. „გურია" სტაბილურ მაჩვენებლებს აღწევს ლიგაში. ესაა საკმაოდ სოლიდური, შეთამაშებული კოლექტივი, რომელსაც ყველა მეტოქე ანგარიშს უწევს. მაგრამ არავისთვის დასამალი არ არის, რომ „გურიას" დღემდე არა აქვს თავისი რანგისა და შედეგების შესაფერისი პირობები, ვილაპარაკოთ კონკრეტულად: ლანჩხუთელი ფეხბურთელები შეკრების პერიოდში „გურიის" სტადიონზე ცხოვრობენ, ეს ბაზა კი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ზამთარს: არ იყო გათბობა, ცხელი წყალი, ტანსაცმლის გასაშრობი მოწყობილობა. წარმოიდგინეთ ფეხბურთელის მდგომარეობა, როცა წლევანდელი მკაცრი, სუსხიანი ზამთრის დღეებში, მუხლამდე თოვლში ნავარჯიშევი, გაყინულ ოთახში შემოდის, ტანი ვერ დაუბანია და სავარჯიშო ტანსაცმელიც ვერ გაუშრია! რა სტიმული და რა ხალისი უნდა ჰქონდეს შემდგომი მეცადინეობისთვის? თუ სტადიონის დირექციას ძალა არ შესწევს საკუთარი სახსრებით მოაწესრიგოს თავისი ბაზა, ეს საქმე მთელი ლანჩხუთის სპორტის მესვეურებმა და ხელმძღვანელებმა უნდა ითავონ, რათა სპორტსმენებს ვარჯიშისა და მუშაობის ელემენტარული პირობები შეუქმნან.

„გურიამ" წინასასეზონო სამზადისი რამდენადმე მოგვიანებით დაიწყო, პირველი შეკრება თბილისში გამართა, შემდეგ კი ქობულეთში გადაინაცვლა. წვრთნა წინასწარ დასახული პროგრამით მიმდინარეობდა, მაგრამ მთელ ამ მოსამზადებელ პერიოდში გუნდმა ვერც ერთი საკონტროლო სპარინგ-მატჩის გამართვა ვერ შეძლო, ეს კი, მოგეხსენებათ, რა საზიანოა გუნდისთვის. მარტოოდენ ფიზიკური მომზადება და ტექნიკურ-ტაქტიკური ჩვევების გამომუშავება ფეხბურთელებისთვის საკმარისი არ არის. მათ ესაჭიროებათ წმინდა სათამაშო პრაქტიკა, ორმხრივი სავარჯიშო მატჩები. ახლა ეს მნიშვნელოვანი ხარვეზები უნდა გამოსწორდეს ლესელიძის საწვრთნელ ბაზაზე, სადაც უკვე გაემგზავრა გუნდი. ლანჩხუთელებმა, შეიძლება ფორსირებული წესითაც, შავი ზღვის სანაპირო სტადიონებზე უნდა აინაზღაურონ დანაკლისი.

„გურიას" კვლავინდებურად ამზადებს უფროსი მწვრთნელი შ. კაკაბაძე, გუნდის უფროსია გ. დუნდუა, მწვრთნელები — ბ. სიხარულიძე და ჰ. ორაგველიძე. ლანჩხუთელთა კოლექტივიდან სხვადასხვა მიზეზით წავიდნენ ფეხბურთელები ფრიდონიშვილი, ხურცილავა, ქასრაშვილი, ძველი თაობის მოთამაშეთაგან მწყობრში არიან მჭედლიძე, იმნაძე, სანიკიძე, მელიქია, ვერულაშვილი, გილიგაშვილი, თევზაძე, კოპალეიშვილი, ჩხაიძე, ტყებუჩავა, ებანოიძე, უგრელიძე, არიან ახალწვეულებიც — ახობაძე, კანდელაკი, სიჭინავა, მიმინოშვილი, სარჯველაძე.

მოსამზადებელ პერიოდში მნიშვნელოვანი სიძნელეები შეექმნა ბათუმის „დინამოსაც". ბათუმელებმა შარშან საუცხოოდ ჩაატარეს ტურნირი I ლიგაში, კოლექტივს კვლავ ვ. ჩხარტიშვილი უდგას სათავეში, გუნდის უფროსია ა. კვაჭაძე, მწვრთნელები — თ. ცინარიძე და ვ. იუხნევიჩი.

ბათუმის დინამოელები წვრთნას შინ შეუდგნენ, მაგრამ ეს „შინ" გარკვეულ დაკონკრეტებას მოითხოვს. საკუთარი ბაზა, ხეირიანი სავარჯიშო კომპლექსი ბათუმის „დინამოს" ჯერ კიდევ არა აქვს. მართალია, ჩაისუბანში შენდება ბაზა, რომელსაც საძინებელი კორპუსიც ექნება, აღდგენითი ცენტრიც, სათამაშო და საწვრთნელი მინდვრებიც, მაგრამ ეს ყველაფერი ჩაისუბანში ჯერ კიდევ შენდება, მანამდე კი დინამოელი ფეხბურთელები სხვათა შემყურენი არიან და ზღვისპირა ხეივანში, ასფალტზე და უხარისხო მინდვრებზე ვარჯიშობენ.

უნდა ითქვას, რომ განვლილ მოსამზადებელ პერიოდში ბათუმსა და მის ახლომდებარე მიდამოებში მეტად არახელსაყრელი ამინდი იყო, განუწყვეტლივ თოვდა, წვიმდა, ციოდა, დინამოელებს ბევრ რამეში ეშლებოდათ ხელი, არ ჰყავდათ შესაფერისი მეტოქეები საკონტროლო მატჩების ჩასატარებლად. ბათუმელებმა ბობოყვათში ითამაშეს პერმის „ზვეზდასთან", მაგრამ ამ ტალახის ზოლას საწვრთნელ მატჩს ძნელად თუ დაარქმევ: ფეხბურთელები გაჭირვებით დააბიჯებდნენ წყლიან გუბეებში, ბურთის ტარება და ზუსტი გადაცემები შეუძლებელი იყო.

ბათუმის „დინამომ" შეინარჩუნა ძირითადი შემადგენლობა (წავიდნენ მხოლოდ მენაბდე და ატუაშვილი). გუნდის ღირსებას კვლავ დაიცავენ მამინაშვილი, კაკაბაძე, სვიმონიშვილი, დურდიაძე, წუწუნავა, შანიძე, თორლაშვილი, ესებუა, შელია, გორგილაძე, ზედანია, ჩელებაძე: არიან ახლებიც — დანელია, ჩიქოვანი, ცხოვრებაშვილი.

ამჟამად რეკონსტრუქცია კეთდება ბათუმის „დინამოს" სტადიონზე, ტრიბუნებს ემატება ადგილები, მთლიანად გადაკეთდება ფეხბურთელთა გასახდელები, საშხაპე. ნორჩ ფეხბურთელთა სკოლას, რომელიც ამ ბაზაზე მდებარეობს, ქალაქგარეთ მიუჩინეს ადგილს და კეთილმოაწყობენ.

ბათუმის დინამოელები წინასასეზონო მზადებას დაასრულებენ ლესელიძეში, შეძლების ფარგლებში იქ გამართავენ საწვრთნელ მატჩებს და მერე შინ დაბრუნდებიან.

როგორც ზევით ვთქვით, წლევანდელი წინასასეზონო სამზადისის პერიოდში ლანჩხუთის „გურიას" და ბათუმის „დინამოს" სერიოზული ხელშემშლელი მიზეზები ჰქონდათ: ესაა შემადგენლობათა დაკომპლექტების სიძნელეები, ბაზების მოუწყობლობა, ძალზე არახელსაყრელი ამინდი, ორმხრივი საწვრთნელი მატჩების სიმცირე, ორგანიზაციული ხასიათის პრობლემები და ა. შ. ჩვენ ვიცით, რომ ლანჩხუთშიც და ბათუმშიც გულშემატკივრები, ფართო სპორტული საზოგადოებრიობა დაინტერესებული არიან ფეხბურთით, მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებენ თავიანთ გუნდებს, სტადიონებზე მუდამ ხალხმრავლობაა, ადგილობრივი ხელმძღვანელებიც ყოველმხრივ ხელს უწყობენ „გურიასა" და „დინამოს", ზრუნავენ მათზე და მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია დაჩქარდეს ბაზების მშენებლობა და კეთილმოწყობა. ორივე ჩვენს გუნდს ხელშეწყობა ესაჭიროება საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მხრიდანაც, რათა პირველი ლიგის კოლექტივებმა შეინარჩუნონ შარშანდელი მიღწევები და განიმტკიცონ მოპოვებული პოზიციები წლევანდელ მეტად საპასუხისმგებლო სეზონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყნის იმ სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის, სადაც აკრობატიკაა დანერგილი, სახელოვანი სპორტსმენების რიცხვით არმიელთა გუნდი აშკარად გამოირჩევა. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჩემპიონატში, რომელიც ახალი პროგრამით ჩატარდა თბილისის სპორტის სასახლეში, ბევრი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო შეჯიბრების ჩემპიონი და პრიზიორი გამოდიოდა, მათ შორის იყვნენ ქართველი აკრობატები, მსოფლიოსა და ევროპის ექსჩემპიონები მანანა მნათობიშვილი და მაია შილაკაძე. საქართველოს წარმომადგენლები აზერბაიჯანელ და სომეხ თანაკლუბელებთან ერთად ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გუნდის ღირსებას იცავდნენ, მაგრამ შეჯიბრების მასპინძლებს ზოგჯერ „საკუთარი კედლებიც" ვერ შველიდა. იქნებ ამის მიზეზი მომზადებაში დაშვებული შეცდომები იყო, ან იქნებ ასპარეზობისადმი არასერიოზული დამოკიდებულება...

ჩემპიონატიც თბილისში ჩატარდება

დავიწყოთ ვაჟთა ჯგუფური ვარჯიშით, რომელშიც ჩვენი ორი „კვარტეტი" მონაწილეობდა. მათგან ერთი — ჰამლეტ სუთიძის, კარენ და ალიკ არუთინიანების და არტურ გაბრიელიანის შემადგენლობით — სპორტის ოსტატების პროგრამით ასპარეზობდა, მეორე ოთხეული კი — ემზარ აბუაშვილი, დიმიტრი კარტოზია, გელა ალიმბარაშვილი, ილო გოგორიშვილი — ჭაბუკთა შეჯიბრებაში ცდიდა ძალას. მიუხედავად იმისა, რომ ეს სპორტსმენები ტრავმის გამო გვიან შეუდგნენ შეჯიბრებისათვის მზადებას, თავდაპირველად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ III-IV ადგილზე იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი პირველი ოთხეულის წევრებს ნებისმიერ პროგრამაში ხელი მოეცარათ — „პირამიდა" დაეშალათ და ერთბაშად 4 ადგილით უკან გადაინაცვლეს.

ჩვენი ჭაბუკთა ოთხეული მთელი შეჯიბრების მანძილზე ინარჩუნებდა საპრიზო ადგილზე გასვლის შანსს. ისინი მხოლოდ აზერბაიჯანელ თანაგუნდელებს ჩამორჩნენ და მეორე ადგილი დაიკავეს. ოსტატებს შორის ჩემპიონობა კიეველმა აკრობატებმა, გასული წლის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა ვ. მალიუტინმა, ვ. მელნიკოვმა, ი. დერეპომ და ი. შოხინმა მოიპოვეს. ქალთა ჯგუფურ ვარჯიშში ჩვენი სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ, გოგონათა შეჯიბრებაში კი მასპინძელთა სამეული ნატალია ანისიმოვას, ინგა გიორგობიანის და მარინა შალაშვილის შემადგენლობით წარსდგა სტარტზე. ამ გოგონებმა ცოტა ხნის წინ პირველი ადგილი დაიკავეს ამიერკავკასიის არმიელთა პირველობაზე და ახლაც დაამტკიცეს თავიანთი ოსტატობა — დაძაბულ ბრძოლაში პირველი-მეორე ადგილი გაიყვეს ლენინგრადის წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სამეული სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს ერთადერთ ვაკანტურ ადგილზე რესპუბლიკის ნაკრებში, რომელიც ჭაბუკთა I საკავშირო თამაშებში მონაწილეობისათვის ემზადება. აქვე ვიტყვით, რომ მათ ძირითად კონკურენტებად სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებს: კესო მაისურაძეს, ლალი ჩოხელს, ირმა ჩოქურს და აგრეთვე ნინო ხიჯაკაძეს, მაია გვრიტიშვილს და მედიკო თორთლაძეს თვლიან.

შერეულ წყვილთა ასპარეზობაში თბილისელი სპორტსმენები, საკავშირო შეჯიბრებების მრავალგზის პრიზიორები კარინე სარქისიანი და ჰამლეტ ღარიბოვი კარგა ხანს ლიდერთა შორის იყვნენ, მაგრამ კარინეს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი (აქილევსის მყესი ჰქონდა გაწყვეტილი), და ამის გამო ჩვენმა ორეულმა უკანასკნელი ვარჯიში საერთოდ ვერ დაამთავრა. მიუხედავად ამისა, მათ წინა ვარჯიშებში მოგროვილი ქულებით მე-4 ადგილზე გასვლა შეძლეს.

ერთგვარი ექსცესით გამოირჩა ჩვენი ძალისმიერი წყვილის — დავით გაგოშვილის და ზურაბ ნიკოლაიშვილის გამოსვლა. ისინი სავალდებულო პროგრამის შემდეგ III ადგილზე იყვნენ. პირველი ნებისმიერი ვარჯიში კი უფრო კარგად შეასრულეს და ერთი ადგილით დაწინაურდნენ, მაგრამ შემდეგ დაუშვეს შეცდომა, რომელიც მსაჯებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მდგომარეობის გამოსწორება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ დაბალი შეფასებით განაწყენებულმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ზურაბ ნიკოლაიშვილმა დემონსტრაციულად მიატოვა სარბიელი — უღალატა როგორც მეწყვილეს და თავის გუნდს, ისე გულშემატკივრებს.

— ეს პირველი შემთხვევა როდია, — თქვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ფიზიკური მომზადების განყოფილების უფროსმა ალბერტ კუხიანიძემ, — ნიკოლაიშვილის უდისციპლინო საქციელი შეუფერებელია სპორტსმენისთვის. ამ წყვილს შეეძლო კარგი მაგალითი მიეცა ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის. ნიკოლაიშვილი არ მოიქცა კარგად.

ვაჟთა წყვილებში ყველას აჯობეს ჭაბუკ არმიელთა პირველობის სამგზის გამარჯვებულმა კრასნოდარელებმა ი. სიდორენკომ და ვ. ფილმა.

ყველაზე საინტერესო მაინც ქალთა წყვილების ასპარეზობა გამოდგა. პროგრამის ამ სახეობაში ყველაზე სახელოვანი სპორტსმენები გამოდიოდნენ. ჩვენს მწვრთნელებს და აკრობატიკის გულშემატკივრებს ყველაზე მეტად მანანა მნათობიშვილის და მაია შილაკაძის ბედი აღელვებდათ. აღსანიშნავია, რომ მათ მხოლოდ გასულ წელს დაიწყეს წყვილთა პროგრამის ათვისება, მაგრამ, როგორც ჩანს, დაუღალავ შრომას თავისი გაუტანია და ჩვენმა დუეტმა სპორტის სასახლეში ურთულესი ელემენტებით სავსე მრავალფეროვანი და დახვეწილი პროგრამა წარმოადგინა. მათ აშკარად დაჯაბნეს მეტოქეები და დამსახურებულად მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული.

სახტომ ბილიკზე ქალთა შორის გაიმარჯვა სტავროპოლელმა ა. სისოევამ (თბილისელი სპორტსმენები ამ სახეობაში არ მონაწილეობდნენ). ვაჟთა შორის წარმატებით იასპარეზეს ჯუმბერ ლაშხის შეგირდებმა გია მარმარაშვილმა და ზურაბ კილაძემ. ისინი სავალდებულო პროგრამის შემდეგ V და X ადგილზე იყვნენ.

— ჩვენმა მხტომელებმა ვერ შეძლეს შეჯიბრებისთვის კარგად მომზადება, — თქვა ჯ. ლაშხმა — ჩვენს დარბაზში საშინლად ცივა და იქ ვარჯიში შეუძლებელია, მაგრამ აკრობატიკაზე შეყვარებული ჩვენი სპორტსმენები, თავისი ჯანმრთელობის საზიანოდ, მაინც ხშირად ვარჯიშობენ იქ. გია მარმარაშვილმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიო ჩემპიონს იგორ ბრიკმანს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონებს ი. ბეგეზოვსა და ე. ივანოვს. ჩემპიონობა ბრიკმანმა მოიპოვა, მარმარაშვილი კი მეორე ადგილისათვის ბრძოლაში მხოლოდ 0,04 ქულით ჩამორჩა ბეგეზოვს და მესამე ადგილი დაიკავა. ზურაბ კილაძე მეხუთე იყო.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მსოფლიოს პირველ ჩემპიონს ჯგუფურ ვარჯიშში, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს აკრობატიკაში შამილ ვილდანოვს ვთხოვეთ გაეზიარებინა შთაბეჭდილებები.

— ჯერჯერობით სპორტსმენთა მომზადების შეფასებაზე ნაადრევია საუბარი, — თქვა მან.— ჩვენ მხოლოდ ამ ჩემპიონატის წინ მივიღეთ ახალი პროგრამა, რომლის ათვისება ყველაზე ტიტულოვან სპორტსმენებსაც კი უჭირდათ. საჭიროა დრო და კეთილსინდისიერი შრომა ამ ახალი, ურთულესი პროგრამის დასაძლევად. მოგეხსენებათ, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენ უკვე გამოგვიჩნდნენ ღირსეული მეტოქეები, პირველ ყოვლისა, ბულგარელი, პოლონელი და ჩინელი სპორტსმენები. ასე რომ, ჩვენ დაძაბულ ვითარებაში მოგვიწევს უძლიერესის სახელის შესანარჩუნებლად ბრძოლა. იმედი მაქვს, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისთვის, რომელიც აქვე, თბილისში გაიმართება ერთი თვის შემდეგ, სპორტსმენები უკეთ მოემზადებიან და მაშინ სასაუბროც მეტი გვექნება.

ალა ჩენკო.



სურათზე: მაია შილაკაძე (მარცხნივ) და მანანა მნათობიშვილი.

შეხვედრები გრძელდება

ბაკურიანში გრძელდება მოთხილამურე არქიტექტორთა პირველი საერთაშორისო შეხვედრები. სურათებზე, რომელიც ნუგზარ ქარელმა გადაიღო, თქვენ ხედავთ სწრაფდაშვებაში გამარჯვებულ არქიტექტორ-სპორტსმენებს: სოფიელ ანტუანა ჭლატარევას და თბილისელ კოკა ურუშაძეს.

ინფორმაცია

კალათბურთელთა ევროპის საკლუბო ტურნირებში გადამწყვეტი შეხვედრებიღა დარჩა.

ჩემპიონთა თასი, როგორც ვიუწყებოდით მოსკოვის არმიელებმა იტალიის „ბანკო დი რომა" დიდი ანგარიშით დაამარცხეს — 97:77. ამ ტურნირის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ციბონა" (იუგოსლავია) — „გრანაროლო" (იტალია) 89:87, „რეალი" (მადრიდი) — „მაკაბი" (ტელ-ავივი) — 100:76.

თასების თასი. პირველი ნახევარფინალური შეხვედრები მოიგეს კაუნასის „ჟალგირისმა" და სარაგოსას კაი-მ. განმეორებით მატჩს „ჟალგირისი" საფრანგეთში ჩაატარებს ასველთან, სარაგოსის გუნდი კი ბარსელონაში ადგილობრივ კლუბს შეხვდება.

კორაჩის თასი. გთავაზობთ მორიგი შეხვედრების შედეგებს: „არისი" (საბერძნეთი) — „ჩაო კრემი" (იტალია) — 83:72, „ოლიმპია სიმაკი" (იტალია) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — 109:86.

ჩემპიონთა თასი (ქალები). „ფიორელა ზოლუ" (იტალია) — „აგონ 08" (გფრ) 99:57. რიგის ტტტ-მ, როგორც ვიუწყებოდით, პირველი მატჩი მოუგო „ლევსკი სპარტაკს" (ბულგარეთი).

ლილიან რონკეტის თასი (ქალები). მოსკოვის ცსკა-მ პირველ მატჩში დაამარცხა ბულგარეთის „კრემიკოვეცი" — 84:60.

სიქტივკარი. მოთხილამურეთა მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი ამჯერად სიქტივკარში ჩატარდა. რბოლა 15 კილომეტრზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მოიგო მსოფლიო ჩემპიონმა შვედმა გ. სვანმა — 40.39,7. სვანი წინ არის შვიდი ეტაპის ჯამშიც. მას 123 ქულა აქვს, 24 ქულით მეტი, ვიდრე მეორე ადგილზე მყოფ თ. ჰ. ჰოლტეს (ნორვეგია). მსოფლიო თასის პარალელურად აქ საკავშირო ჩემპიონატიც ჩატარდა. გაიმარჯვა დინამოელმა ა. ბატიუკმა — 42.06,9.

ბელუნო. სტუდენტთა XII ზამთრის მსოფლიო თამაშებში საბჭოთა მოთხილამურეებმა მორიგ წარმატებას მიაღწიეს — ორი ოქროსა, ერთი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. 30-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა ვ. ნიკიტინმა. სათხილამურო რბოლაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, აგრეთვე, ნ. ფურლეტოვამ.

მოსკოვი. გრძელდება მოცურავეთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი უცხოეთის სპორტსმენთა მონაწილეობით. 100 მ-ზე ბატერფლაის სტილით ცურვაში ქალთა შორის ყველას ტ. კურნიკოვამ (აზერბაიჯანი) აჯობა — 1.02,47. 200 მ-ზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველი ლენინგრადელი ო. გრიგორიევა იყო — 2.03,92. 200 მ ბრასით ცურვაში ჩემპიონი გახდა ლ. მორევა (რსფსრ) — 2.31,60.

ჩიმბულაკი. სამთომოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატში მედლების კომპლექტი სლალომისტებმა გაითამაშეს. ვაჟებში ჩემპიონი გახდა ვ. იანგოლენკო (კრასნოიარსკი) — 1.40,55, ქალებში — ლ. კედრინა (ლენინგრადი) — 1.32,76.

მოსკოვი. ჩატარდა მშვილდოსანთა X საკავშირო ჩემპიონატი დახურულ დარბაზში. ქალთა შორის გაიმარჯვა ბელორუსიელმა ე. მარფელმა — 583 ქულა, ვაჟებში — მ. ბ. დაშიცირენოვმა და ი. ლეონტიევმა (ორივე — რსფსრ) — 587 ქულა. ქალთა ასპარეზობაში საქართველოს წარმომადგენელმა ი. გრებენიკოვამ მეექვსე ადგილი დაიკავა.

ვილნიუსი. სამბისტთა საკავშირო თასის გათამაშებაში წარმატებით იასპარეზეს ვლადივოსტოკელმა ათლეტებმა. სამი მათგანი საპატიო ჯილდოს მფლობელი გახდა. ესენი არიან: ალექსანდრე აქსიონოვი (62 კგ), ვლადიმერ პომიატევი (74 კგ) და არკადი ბუზინი (90 კგ). აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა ფინალში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ომსკელი ალექსანდრე პუშნიცა დაამარცხა. მძიმე წონაში თასი ანდიჟანელმა ვლადიმერ სობოლიროვმა მოიპოვა.

ინფორმაცია

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 17 თებერვალს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, მე-7 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: გაიყიდა 619 837 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (26 ბარათი) მოგება 1557 მანეთია, ოთხისთვის (1365 ბარათი) — 40, სამისთვის (22713 ბარათი) — 4.

„სპორტლოტო 5 36"-დან: გაიყიდა 5513043 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (38 ბარათი) მოგება 8819 მანეთია, ოთხისთვის (1778 ბარათი) — 106, სამისთვის (135389 ბარათი) — 6.

მოგებული თანხის განაღდება 28 თებერვლიდან 28 მარტის ჩათვლით.

რედაქტორი ა. ბოგელია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მარჯვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი
68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06003